საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 6 „17" 10 2018 წ.

დადგენილება № 27

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის რარიტეტული (იშვიათი და ძვირფასი) ფონდის განსაზღვრებისა და რარიტეტული წიგნების შერჩევის წესი"-ს დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ" ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის რარიტეტული (იშვიათი და ძვირფასი) ფონდის განსაზღვრებისა და რარიტეტული წიგნების შერჩევის წესი" თანდართული სახით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი ლავრენტი ჩიბურდანიძე

ქ რუსთაველის ქ. №113. 0800 ახალციხე, საქართველო
113, Rustaveli st., 0800 Akhaltsikhe, Georgia
http://www.sjuni.edu.g
ტელეფონი: 5(99) 063 366, 5(77) 050 640 Tel.
ფაქსი: +995 365 22 19 90 Fax
ელ-ფოსტა: rector@sjuni.edu.geE-mail
ელ-ფოსტა: contact@sjuni.edu.geE-mail